იმერეთი

ფასი: წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თიებით 3 ან. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.**

წლიური ხელის მომწერელებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილობით გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილობით. სახღვარგარეთ წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თიებით 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., შუანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასის ვარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამის 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანეთი.

შაბათი 7 ივნისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზეთის

„იმერეთი“

თფილისის ქუჩა, ფარავნის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 73 ყოველდღიური გაზეთი 1914 წელიწადი მესამე № 73

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

— „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით	3 აბაზი.
და ცალკე ნუმრის	1 შაური.

გაზეთის წლიური დასაკეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილობით შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. სახღვარგარეთ გაზეთი წლიურად ღირს 15 მ. ½ წ.—8 მ., თვიურად 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურად 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურად 3 აბაზად.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით редакція „ИМЕРЕТИ“ Гаврилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ჭიაღლდის ცალ გვერდზე, გარყვნილად და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა ეწარმოებს.

სამსახურის გამო სვანეთში მყოფი ვარლამ დავითის ძე ძიძიგური, მით უფრო გულმკვდარი და ცრემლ შეუშრობელი, რომ მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო თავისს ძეროვასსა და საყვარელ დედის

ფრიდონ ძიძიგურისა

ხელოიას ასულის დასაფლავებას ვერ დაესწრო, თავდაბალსა და უღრმეს მადლობას სწირავს ყველა იმათ, ვინც პატივი სცა მის ოჯახს და ძმებს— ნესტორსა და ლავრენტის—და 11 მაისს ამათ დედის დასაფლავების დაესწრო.

სპეციალური წიგნის მაღაზია

კოსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და საღავთიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საჯიმაო სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად საღავთიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ ისინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დილით.

ბ. ა. მრგებაძე—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული.	1— 2
გ. ს. ნადარეიშ.—შინაგანი და ბავშის	10—11
ს. ა. რჯულგაიანა—დერმატ.ქარი, ქალთა, საბეინო ყოველ ღღე	11—2
მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათოშინგი, ვენერ.	12—2
გ. ს. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ.	12½2მ

საღამოთ.

გ. დ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით	4½—5½
გ. ს. ჭოდოშვილი—საბეინო, ქალთა და შინაგ.	5½—6½

სამკურნალოსთან მოწყობილია საავ.—საავადმყოფო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა. 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები ძმიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩება 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგეობით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგეობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დარეკტორი—გ. ს. ჭოდოშვილი.

გაგაზიის სამთასწავლო ტოლქის მზრუნველის ნებართვით

ამავე კურსებთან იხსნება საშუალო სასწავლებლების ყველა კლასის უმაღლესი სპეციალური სასწავლებლებისა, და განსაკუთრებით, მიწისმზომლობისა, სამხედრო სასწავლებლებისა და სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის მოსამზადებელი კურსები. ამის შესახებ პირადათ დაკითხვა შეიძლება კურსების კანცელარიაში. ღილის 9—12-მდი და საღ. 8—9 საათამდი.

მისამართი: თფილისი, ბუბუნის ქუჩა, № 8 ტელ. 10—30.

„რადიუმი“

ხუთშაბათიდან, 5 ივნისიდან, დაიწყო დიდი ახალი პროგრამა

მხოლოდ მოზრდილთათვის

კაბე ჟურნალი

მსოფლიო ღიტერა. სენსაციები! სხვის სახელით თანამედროვე ოთხ მოქმედებიანი დრამა, სურათი ფერადოვანია. მონაწილეობას იღებენ საუკეთესო არტისტები.

ცხოვრება სიამოვნებისთვისაა.

ორიგინალური ფარსი „ნორდისკისა“, მონაწილეობას იღებს მშვენიერი ე ლ ზ ა ფ რ ე ი ლ ი ხ. მოწვეებსა და ბავშებს შესვლა აღკრძალული აქვთ.

ქალაქის თეატრი.

შაბათს 7 ივნისს, გაიმართება

ი. ევდოშვილის მონაწილეობით

საღამო

ოთხ განყოფილებათ:

I.

კ. აბაშიძე წაიკითხავს ლიტერატურულ ვსკისს

II.

სალიტერატურო განყოფილება.

მონაწილეობას მიიღებენ: დ. კლდიაშვილი, ა. ეკალაძე, თოშაშვილი, ცვირ-სამი, გუგა, ი. ეკალაშვილი.

III.

დრამატიული განყოფილება.

„არივ დარია“ ვოდ. 1 მოქმედ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ქაჯაია, პაპავა, ეპიტაშვილი, ბ-ნნი: ნემო, ა. მურუსიძე, ვ. სარელი და ჩხიკვაძე.

IIII.

მუსიკალური განყოფილება

ქ-ნი დავითაიშვილი, ბ-ნნი საადა, დ. ფადავა და კ ა ტ ლ ე.

დასაწყისი საღამოს 8½ საათ. ფასები ჩვეულებრივია. ბილეთები უკვე იყიდება თეატრის კასაში.

ქ უ თ ა ი ს ი.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას შუძმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისთანავე. მაღაზიაში არის ყოველგვარი საკანცელარიო ნივთი, სახატავი და საწერი რვეულები საკუთარი ფირმისა. პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს. მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების ძაღნეული წელის

ა ბ ა ნ ო

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯავანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საეჭვნია აბანოდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმიდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **ქ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე. და როგორც ნამდვილ გამოცდილი კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუპის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატრონისგვარი გ. მ. არჯავანიძე.

ექიმი ბ. ა. მირაქოვი დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლო ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

ლეკვაშვილის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

ექიმი ა. მ. ასათიანი ღებულობს ავათმყოფებს. ქალის, გენერალია (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

ექიმი ვ. ი. კაკაცელაშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებანი) ავათმყოფების მიღება. საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით განათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეთი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მისამართი: ქარავსლისა და ბუშკინის ურის კუთხე, ბუშკინის ფოტოგრაფიის ქირდაპირ.

ექიმი ი. ჩარექოვი იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია. მისამართი: გაგარინის ქუჩა, ზოდიაკის გვერდით, ფარავნის სახლში. თ.

ჩვენი განმარტება.

ჩვენს წარსულ წერილს მცველები პატრიოტიზმისა“-ს, გაზეთი „აზრი“ სკვეტკურად შეხვდა. ნუთუ ასე ფიქრობენ ყველა ნაციონალ-დემოკრატებიო, კითხულობს გაზეთი. ჩვენ არ ვიცით როგორ ფიქრობენ ყველა ნაციონალ დემოკრატები, რომლებიც, აქვე ვიტყვით, აქამდისინ ჯერ ერთ დარაზმულს ჯგუფს არ წარმოადგენენ, ერთის ტაქტიკით და ერთის პროგრამით, მაგრამ რომ ასე უნდა იფიქრონ—ეს ჩვენთვის ეჭვს გარეშეა.

როდესაც ჩვენ მოვითხოვთ ჩვენს საზოგადო დაწესებულებათა გადემოკრატებას, ამით სოციალდემოკრატიის უფლებას კი არ ვიცავთ, ჩვენ ვიცავთ თვით ამ დემოკრატიის უფლებას და უფრო მეტათ კი აქედან გამომდინარე შესაძლებლობას, რომელიც საგრძნობლად შესცვლის მდგომარეობას შემდეგში. ჩვენი აზრი რომ ნათელი იყოს: უპირველესად, სიმართლე უნდა ვთქვათ.

სახელმწიფო ახალ პირობათა გამო, ჩვენი დემოკრატია დღითი დღე საგრძნობელ ძალად ხდება, და უკვე ისეთი ფაქტორია გავლენისა, რომელსაც ყველამ ანგარიში უნდა გაუწიოს. ამიერიდგან საზოგადო და ეროვნულ საკითხთა გადაწყვეტა უამდემოკრატოთ ყოველად შეუძლებელია. ეს დემოკრატია არის ნამდვილი ქართული ხალხური სულის მატარებელი, იგია უპირველესი მომხმარებელი ქართულის კულტურისა და, ეჭვი არ არის, იგივე შეიქნება მალე მისი მასაზრდოებელიც. ვინც ამას ვერ გრძნობს, მას ვერ შეუგნია, ჩანს, ის ცვლილებანი რომელიც მოხდა საქართველოს პოლიტიკურ-სოციალურ ცხოვრებაში.

ვინ უდგას ამ დემოკრატიას სათავეში, ვინ არის მისი ხელმძღვანელი. მას ხელმძღვანელობს სოციალ-დემოკრატია. ამაზე იქნება იმის მტკიცება, რომ სხვა ჯგუფებს რამე გაელენა ჰქონდესთ ამ დემოკრატიაზე. ამასთანავე არც ის მოსაზრება მოგვეპოვება, რომ, რაღაცა მანქანებით, ახლო მომავალში სოციალ-დემოკრატას ეს გეგმონია ჩამოერთმევა და გადაეცემა სხვა პოლიტიკურ ჯგუფს. ვისაც ჯერ კიდევ არა სწამს, რომ ქართულ-დემოკრატიასა და სოციალ-დემოკრატიას შორის უკვე მაშდამო კავშირი დამყარდა, მას არ ესმის მაშასადამე სოციალური შინაარსი როგორც პირველისა, ისე მეორესი. ამ საუდამო კავშირის დამყარების ფაქტიდან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ კლასობრივ-პარტიული ფიქსაცია დემოკრატიზმის ნიადაგზე ჩვენში უკვე მოხდა და ახალი დიფერენციაცია მხოლოდ სხვა საშუალებით თუ შეიძლება.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ, არა სოციალ-დემოკრატებს, ამ დემოკრატიასთან უკვე აღარაფერი საქმე არა გვაქვს. კავშირი სოციალ-დემოკრატიისა დემოკრატიასთან ეკონომიურ და პოლიტიკურ ნიადაგზე სწარმოებს. ჩვენ კი ღრმა ეროვნული ინტერესები გვაერთებენ მასთან და არავითარ საშუალებას არ უნდა მოვერიდოთ, რომ მასთან კავშირი დავიჭიროთ. რანაირი არიან ეს საშუალებანი? სხვადასხვანაირი და მრავალნაირი, რომელთა შესახებ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ, მაგრამ ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე კი შევუთითებთ. ჩვენი დემოკრატია უკვე დიდ ინტერეს იჩენს კულტურულ და ეროვნულ დაწესებულებათა მიმართ. უკვე მისჩნეს ის ტალღა, რომელიც ახლო მომავალში ყველა ჩვენ დაწესებულებებს, ავისებს ამ დემოკრატიით. მაგრამ ჩვენ ფრიად გულუბრყვილონი ვიქნებოდით, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს პროცესი არეულად და უორგანიზაციოდ მოხდება. ჩვენი დემოკრატია დარაზმულია, ამიტომ მისი შესვლა ამ დაწესებულებაში პარტიულად მოხდება. მაგრამ რადგანაც ჩვენი დაწესებულებანი ეროვნული არიან და ჩვენი დემოკრატიის პარტია კი აქამდის მხოლოდ ეროვნულ ინდიფერენტიზმს იჩენდა, იმდები შიშის ამღვძერელი საკითხი:—რა დამართება მაშინ ჩვენ ეროვნულ დაწესებულებებს? ერთიც ენახოთ მან, დემოკრატიამ, ჩვენ დაწესებულებებს ეროვნული იერი წაართვას და ეროვნული სული დაუხშოს?

ასეთი საკითხი, ცხადია, უნდა დავიყენოთ, მაგრამ საქმის შეგნება მოითხოვს, რომ პასუხიც სწორე ვეცადოთ. ამიტომ უნდა გავიმეოროთ, რაც უკვე ესთქვით წინა წერილში, რომ მხოლოდ ეროვნული დაწესებულებანი ჰქმნიან ეროვნულს სულს და ქართველი მეშვი თუ მეტად არ გაპატიოსტდა, მაგალითად, წერაკითხვის საზოგადოებაში წევრად შესულით, უარესად აღარ გადაგვარდება ეროვნულად. ამიტომ ჩვენ ყველანაირის საშუალებით უნდა ვეცადოთ, რომ ასეთი დაახლოება მოხდეს.

დღე, ნუ დავგეთანხმებიან ზოგიერთები ამაში. ჩვენ ვიცით, რომ საამისოდ ბევრი მიზეზი არსებობს პარტიულის ქიშპისა და ჯიბრისა. მაგრამ ჩვენ ვერვინ ვერ გვეტყვის იმას, რომ ჩვენი აზრი სალი და ნათელი არ იყოს.

ი. ევდოშვილი.

(დღევანდელ სალიტერატურო საღამოს გამო).

ი. ევდოშვილი ქიზიყელია, სოფ. ბოდბის-ხევიდან.

მოგეხსენებათ, რომ ქიზიყელებს ბატონ-ყმობა არ გამოუცდიათ და ამიტომაც მეტის მეტი ამაყი და თავისუფლების მოყვარული ხალხია. ეს უმთავრესი თვისება გამოჰყვა ი. ევდოშვილსაც.

მის თანამედროვე მგოსანთა შორის, ი. ევდოშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი თავისებური ტკბილი ლექსი, ადგილ ადგილ უხეში, მაგრამ ძლიერი, ვით შავარდენის ფრთის შემოკერა, შიგ გულში უფლის მკითხველს და ბოროტებასთან საბრძოლველათ იწვევს.

უმთავრესი ჰანგი, უმთავრესი მოტივი ი. ევდოშვილის პოეზიისა—არის მოქალაქობრიობა, გადადიოდეს, განკაცება. იმ დროს, როდესაც მისს თანამედროვე მგოსანთა უმრავლესობა მხოლოდ არშიყობენ გაზეთის ფურცლებზე და „ოქროს ფეხებსა“ და „ფუტუნა თვალებს“ ამკობენ, ი. ევდოშვილმა იმ თავითვე დაამტკიცა:

მეგობრებო, წინ... წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე მკერდს სისხლის დაღი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული!
წინ, წინ, მედგრათ! შეევებრძოლოთ,
ჩარხ-უკუღმა ამ ჩვენ დროსა,
ჭირის ოფლში გავატაროთ,
სიმართლის და ძმობის დროშა!..

აი, ის ძლიერი და გამომაფიზრებელი ლოზუნგი, რომელიც გულის ფიცარზე ამოიკრა ჩვენმა მგოსანმა და დღევანდლამდი ერთის წუთითაც, ერთის სიტყვითაც არ უღალატია ამ ლოზუნგისათვის.

ი. ევდოშვილი იმ დროს გამოვიდა მწერლობის ასპარეზზე, როცა ჩვენი დაბეზღებული ცხოვრების ბჭენი შეიკრა და ჩვენის ტანჯულის სამშობლოს ცაზე განთიადმა ამოაშუქა.

დროთა ბრუნვამ და ცხოვრების სამართლიანმა მოთხოვნილებამ მშრომელი ხალხი გამოაფხიზლა, მშრომელი ხალხი წამოაყენა წინ და ყველას აგრძნობია, რომ ძალა მხოლოდ ამ მშრომელ ხალხშია და მხოლოდ ეს მშრომელი ხალხივე იქნება ქვეყნის მხსნელიო....

ყველაზე ძლიერათ ეს ჰეშმარიტება იგრძნო ჩვენმა მგოსანმა და სიპაბუკის ძალასთან ერთად მთელის თავისის არსებით ამ ჰეშმარიტების განხორციელებას მიეცა.

სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ი. ევდოშვილი შეიქნა საყვარელ მგოსნათ მუშა ხალხისა.

გადაჰპარებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ყველაზე უფრო მეტათ ჩვენ მწერალ-მგოსნებში ი. ევდოშვილს იცნობს ჩვენი ხალხი და მის ლექსებს ზეპირად ამბობს.

რაც დასელთა პუბლიცისტიკამ გააკეთა ამ ოცი წლის განმავლობაში, ერთი ამოდენა ღვაწლი მუშების გათვითცნობიერებაში მიუძღვის ი. ევდოშვილის პოეზიასაც. ამიტომ ჩვენ მომაკვდინებელ ცოდვათ მივაჩნია, როდესაც ევდოშვილისთანა მწერლებს ხელის წამოსაკრავათ გაიხდიან ხოლმე.

ყოველი შეგნებული ქართველი მოვალეა პატივისცემით მოეპყრას ი. ევდოშვილს და, მწარე ცხოვრებაში მყოფი, ზნეობრივათ მაინც გაამხნეოს.

სხვა, უფრო კულტურულ, ქვეყნებში ევდოშვილისთანა მგოსნები ხელზე დაჰყვათ, ჩვენ კი ხშირათ წიხლებსაც კი ვცემთ ხოლმე.

მაგრამ გაცა დრო, ჩვენი ხალხიც გაბნთლდება და მაშინ ღირსეულ ძეგლსაც აუგებენ. ეს, რასაკვირველია, მომავლის საქმეა. იქნობადი კი კაცს, თუნდა იგი დიდი მგოსანიც იყოს, ცხოვრება უნდა და ამ ცხოვრების მოწესრიგებაში ყველამ ჩვენი წვლილი უნდა შეიტანოთ.

დღეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის თეატრში გაიმართება ი. ევდოშვილის საღამო. საცა სამართალია ეს საღამო უნდა იყოს ჩვენი წმწერლის დღესასწაული, ეს საღამო უნდა იყოს ღირსი ქუთაისურ მწერლებისათვის—მიუხედავათ მიმართულებისა,—მაგრამ, როგორც ყველა სხვა ქართულ საქმეებში, ასე აქაც ზოგიერთებმა დისონანსი შეიტანეს....

მაგრამ ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ ამ საღამოს ხალხი ბლომათ დაესწრება და ღირსეულ პატივსა სცემს ღირსეულსა და მებრძოლ მგოსანს თავის სამშობლოსას.

აი ცქერაძე.

ქუთაისი.

ახალი ამბავი.

◆ ხარკოვის საკატორღო ციხეში დაციცქავა პოლიტიკური ტუსაღი მელეტონ გობეჩია. მას პოლიტიკური საქმისათვის (ზუგდიდის რესპუბლიკა) სასამართლოსგან 4 წლის კატორგა ჰქონდა მისჯილი. სიცქიდილს არ ეღალატებინა იგი სასჯელის მოხდას უკვე ათავებდა.

◆ არქიელის გორის მცხოვრებლები შეუმდგომლობენ ქალაქის გამგეობის წინაშე, დაიდგას ორი ფარანი იმ გზაზე, რომელიც ადის გორაზე წმ. გიორგის ეკლესიისკენ. სიბნელის გამო აღმართზე მიმოსვლა შეუძლებელია.

◆ 4 ივნისს ოლქის სასამართლომ გაარჩია ფეოფილე თევდორაძის საქმე, რომელსაც ბრალდებად ციხიან ტუსაღების გამოშვება. სასამართლომ ის უდანაშაულოთ იცნო და გაამართლა.

◆ წელს ქუთაისის პრეგნი სამოქალაქო სასჯელებელი შემდეგ პირებს დაესრულებია: ე. ჩხაიძეს, პ. ჭარქაშაძეს, დ. ტყემალაძეს, პ. კორკელიძეს, ი. დოლნაძეს, ა. ბარბაქაძეს, გ. ნიჟარაძეს, გ. კაკაურიძეს, თ. სვანიძეს, ვ. ჯაჯანიძეს, გ. ჭეიშვილს, ა. ჭეიშვილს, ა. გუგუცაძეს, ვ. შათირიშვილს, ვ. ნიკოლაშვილს, ი. შარაშენიძეს, ა. ფირცხალავას, ა. ჯიბლაძეს, ს. იმედაძეს, მ. ფალავას, ვ. მიქაბერიძეს, ლ. ზაქარიაძეს, გ. მაისურაძეს, გ. დეკანოსიძეს, ჟორჟოლიანს და სხვებს. სულ 60 კაცს.

◆ პრინცესა ბებე მიურატმა მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა და ის აღსარებულ იქნა მისის დედის (გადაცვალების) პრინცესა სალომე მიურატის (დადიანის ასული) მამულის მემკვიდრეთ, რადგანაც დანარჩენ შვილებს: ლიუსიენს და ნაპოლეონს არ შეეძლოთ მემკვიდრეობის მიღება, როგორც საფრანგეთის რესპუბლიკას ქვეშევრდომთ.

◆ 10 ივნისს საოლქო სასამართლოში გაირჩევა: ს. ვარდანიძის, გ. ლალიაშვილის, და ივანე ფერაძის საქმეები.

◆ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზდობის დამხმარე საზოგადოების გამგეობა უმორჩილესათ სთხოვს საზოგადოების წევრებს მობრძანდენ საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულია 8 ივანისისთვეს, დღის 12 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში.

საზოგადო კრების შედგენობის საკვლის შესახებ: ა) არჩევა კრების თავჯდომარისა, საზოგადოების საპატიო წევრთა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა და მათი კანდიდატებისა, ხაზინადრისა და მდივნისა.

ბ) საზოგადოების წარსული 1913 წ. მოღვაწეობის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; მდგომარე 1914 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის განხილვა და დამტკიცება და სარევიზიო კომისიის მოხსენება.

გ) გამგეობისაგან საჭიროების დროს გაცემულ შეწყობის რაოდენობის განსაზღვრა.

დ) სათადარიგო ან სპეციალური თანხების დაარსების საკითხის განხილვა.

ე) საკანცელარიო ხარჯების დასაფარავად ფულის გადადება.

ვ) წესდების შეცვლისა ან მის შეესებას შესახებ კითხვის გადაწყვეტა.

◆ 5 ივნისს მომრიგებელ მოსამართლემ გაარჩია: რაჟდენ გახოკიძისა და დათიკო ქებაძის საქმე. პირველს ერთი თვე ციხე მიუსაჯა, ხოლო მეორე გაამართლა.

◆ ს. ყულის კარიდან (ზუგდიდის მაზრ.) გვატყობინებენ: 31 მაისს აქაურ ეკლესიას შეხი დაეცა და დიდათ დააზიანა.

◆ სახალხო ფურცლის დღიურში ეწერა რომ: ქუთაისის თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკის თფილისის განყოფილებაში საჯარო ვაჭრობით ბევრი მამული მეორე ვაჭრობისთვის გადაიდეო.—ნამდვილათ კი ასეა: სულ გაწერიღი იყო 201 მამული. ამათში 4 ივნისის ვაჭრობაზე გამოცხადდა მხოლოდ 14 მამული— დანარჩენებმა გადასახადი გაასწორეს. ამათში ათი მამული გაიყიდა ხოლო 4-ს გაყიდვა მეორე ვაჭრობისთვის გადაიდვა.

◆ ქუთაისის ებრაელები ქალაქის გამგეობას სთხოვენ ნუ იქნებიან დაჯარიმებული იმ ოქმების მიხედვით, რომელიც ამ დღეებში სანიტარებმა შეუყენეს სანიტარული წესის დარღვევისათვის. თხოვნას ხელს აწერს 33 კაცი.

◆ მგოსან გელას დაეკარგა 105 მანეთი ფულათ საბუთების ქალაღდები და ხელთნაწერი ლექსები.

◆ 5 ივნისს პეტერბურგის პირაჟზე ქუთაისის სათავადაზნაური საადგილმამულო ბანკის გირავნობის ფურცლები 78 მანეთად და ათ შაურათ ფასობდა.

◆ 4 ივნისს რიონის სადგურზე გაიფიცენ ხანაგების სარდაფის მუშები. გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზეა. მუშებსა და მემამულეს შორის მოლაპარაკება სწარმოებს.

◆ გუშინ თავადაზნაურთა საკრებულოში მოვიდენ ბაღდათის საზოგადოების აზნაურთა წარმომადგენლები. ისინი ჩამოვიდენ გუბერნიის წინამძღოლთან, რათა შეამდგომლობა აღძრას, სადაც ჯერ არს, რომ იმათაც მიეცეს სიმიდის სესხი.

◆ დღეს, ქალაქის თეატრში გაიმართა საინტერესო საღამო. ამ საღამოზე პირველათ გამოვა სცენაზე ქუთაისის საზოგადოების წინ ი. ევდოშვილი. ლეტატორი ბ-ნი კიტა აბაშიძე წაიკითხავს ამ საღამოსთვის საგანგებოთ დაწერილ „ლიტერატურულ ესკიზს“, ბ-ნი ია ეკალაძე წაიკითხავს ოგრეთვე ამ საღამოსთვის დაწერილ ლექს პროზაით „აღსარება“, ბ-ნი დავით კლდიაშვილი დაამშვენებს ამ საღამოს თვისი სხარტული იუმორით, წაიკითხვენ თვის ნაწარმოებს მგოსნები: თომაშვილი. ცვარ-ნამი და გუნა. ითამაშებენ მხიარულ ვოდევილებს „არიდარიას“ და ბოლოს საზოგადოება დასტკბება მელოდიური მუსიკით.

ამ საღამოზე აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს თვ. დავით ფალავა, რომელიც შესარულებს ქართულ-რუსულ სიმღერებს და ბოშურ რომანსებს.

◆ სავანგებო საქმეთა გამომძიებელი ქუთ. ქალაქის გამგეობას თხოვს, რომ მიეცეს მას ქალაქის სამკითხველოდან 1912 წლის ეურნალ „ჩვენი ცხოვრების“ ყველა ნომერი გადასათვალიერებლათ.

ტფილისა.

ტფილისის გუბერნატორმა დაათვალიერა ავლაბრის ბაღი, მეურნეობა, ნახა სარდაფი, სამეცნიერო დანაყრებული მეურნის სახით უმეცნიერებოდ მესაქონლეობელ მეურნეებს, რომელთა საქმიანი მეურნეობა შეიძლება ხშირათ ცუდ პირობებში გვარიანათ მოსწორებია და უეჭველია იგი თავის დახმარებას არ მოაკლებს ამ შკოლას, თუ მისი პირვანდელი დამაარსებელნიც გულს მოიბრუნებენ ამ სასარგებლო დაწესებულებაზე.

ამიტომ საჭიროა ქუთაისის სამეურნეო განყოფილებაში, რომლის პირმშო შვილი ეს შკოლა არის და რომლის წევრებიც დღემდი მის სასარგებლოთ კაბინეტურ მოღვაწეობას ეწეოდენ და ამის გამო მასაც ისის იყო კინადამ სული ამიხდა მხოლოდ კანცელიარულ საქმიანობაში, მაგრამ ამ სულის ღაფვაში მას მიუსწრო მისმა ძველმა თუთხმეტიოდე წევრმა, რომელთაც საწევრო ფულის შეტანით გადაარჩინეს იგი სიკვდილს. დღეს საჭიროა ამ საზოგადოებაში ნამდვილი ოსტატი მეურნეები შეიკრან და თავიანთი პრაკტიკული გამოცდილებით, დასაბუთებული გეგმებით, რჩევებითა და პრაკტიკული მოქმედებებით გამოაცოცხლონ ეს დღემდი კანცელიარულ საქმიანობათ გადაქცეული საზოგადოება.

იმერეთი და შიგ მისი ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრი—ქუთაისი, სწორეთ დღეს საჭიროებს იმგვარ კულტურულ დაწესებულებას, რომელიც სანამ რუსეთის კუდმოფაქცევნილი ერობის ღირსიც არ გამხდარვართ, უწევდეს საზოგადო-სამეურნეო საქმეებს მფარველობას და დახმარებას. ამ საზოგადოების გამოცოცხლება სწორეთ დღესა საჭირო, რადგან მთავრობა სამეურნეო შკოლას თავის, სუსხიდიით გადაეეთმას უპირებს და მაშასადამე, ადგილობრივი მფარველი ამ შკოლისა სამეურნეო საზოგადოება ამ მის ავ-კარგზე უფრო ყურგამოფხეცილი უნდა იქნეს, ვინემ დღემდი იყო, რომ ხსენებული შკოლა ჩვენი ქვეყნის ადგილობრივ სამეურნეო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურებოდეს.

მაგრამ ამაზე კიდევ შემდეგ...

ალექსანდრე გეცაძე.

ოდესა.

როგორც შევიტყეთ ამ პირველი რვა სტუდენტიდან სამს ანთავისუფლებენ ხუთ თიბათვეს: ვალ. მიქელაძეს, დიმ. ჩიქვაიძეს და ყორღანოვს, გრ. გეგელიაშვილსა, ალ. ტიბილოვსა და სხვებსაც ალბათ მალე გაანთავისუფლებენ.

აქაურ უნივერსიტეტ დასრულებულთა შორის ჩვენს უმთავრეს ყურადღებას იქცევენ ჩვენი თანამემამულე ქალები თამარ ჯაფარიძეები და ანა (ვარდო) მესხეშვილი. პირველმა მათემათიკური ფაკულტეტი დაასრულა, მეორემ სპეციალისტი ფაკულტეტი: იურიდიული ფაკულტეტი დასრულეს ინასარიძემ და ლავრენტი ფილოლოგიური—ცაგარეიშვილმა, მგელაძემ და გაფრინდაშვილმა.

ქალთა უმაღლეს კურსებზე სპეციალისტ ფაკულტეტი დაასრულა ბ. კლდიაშვილმა.

სამხრეთია.

ხუთი დღე სამტრედიის რაიონში განუწყვეტელი წვიმდა. მოვიდა ნიაღვრები. სოფ. მელაურში კ. კვერნაძის 4 წლის ბავშვი მოიტაცა წყალმა და ძლივს გადაარჩინეს. მორჩენის იმედი არაა, ბევრს სახლში შეუვარდა წყალი. ორი დღე, რაც გამოიდარა.

— გვესტუმრა ცნობილი რიხტერის ცირკი, რომელიც ყოველთან სავსეა ხალხით.

— ამ მოკლე ხანში კლუბი გადმოვა საზოგადო შენობაში სტურუასა და ნიბარელიძის მიწაზე, სადაც ახალი შენობაა აგებული კლუბისთვის. იმ დღეს გაიმართება დიდი სეირნობაც.

— ჩვენი წარმომდგენების მართველი წრე საათას ძლიერათა შეპყრობილი. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს წრის გამგეობამ და კვლავ დაბეჭდოთ გამარჯობა ხოლმე სახალხო წარმოდგენები.

ახალი გუბერნატორი ქუთაისის სამეურნეო შკოლაში.

ქუთაისის გუბერნიის ახალი გუბერნატორი თავის სამწყსოს შემდგენლობის გაცნობას შეუდგა. მან იწყო მთავრობისა და სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებში სიარული და მათი დაახლოებით გაცნობა. ამას წინათ იგი ერთ-ერთ ქართულ განმანათლებელ დაწესებულება—**ქართულ ვაჭრობაში** მიიწვია თავადაზნაურობის წინამძღოლმა, თ-დმა დ. ნიჟარაძემ და ქართულ მასპინძლობაში გააცნო თავადაზნაურობის ერთი წრის სულისკვეთება, მათი საჭიროებანი. ეს იყო ახალი სტუმრისადმი ქართველური პატივისცემა, პირველი ნაბიჯი „Князь посѣтилъ“-ის ახალ თანამდებობაში საქმიანობისა. ამასთან ეს მასპინძლობა იყო დაგვირგვინება სათავად-აზნაური ბანკის მაისის თავყრილობისა, რომელმაც თავი ისახელა ჩვენი ძველი მოღვაწე ნიკო ნიკოლაძის გაწევებით ათიოდე ინტელიგენტის წვრილშან მოსაზრებებით ნახელი მძღვანელებმა.

3 ივნისს ეკ ახალი გუბერნატორი თ-ვისი ინიციატივით ესტუმრა მეორეჯერ კულტურულ დაწესებულებას—**ქუთაისის სამეურნეო შკოლას** ფერმაში. იგი დაესწრო პირველ კლასში რუსულის ენის მეცნიერ. გამოცდის დროს თეითონაც აძლევდა კითხვებს შეგირდებს და ისინიც, რაკი შეამჩნიეს საპატიო სტუმარს თვალსაჩინო, ანა ოფიციალური მიპყრობა, დაკვირვებით და აუღელვებლათ უპასუხებდენ საეგზამენო კითხვებზე. დაკვირვებულათ უპასუხებდა შეკითხვებზე ლომბიერ სტუმარს პატარა ტანის მოწაფე ეგნატე ინგოროყვა (ჩვენი სასიკეთილო მეცენატისტ-ეგნატე ნინოშვილის ბიძის ალექსის შვილია, რომელიც საკმაო ნიჭს იჩენს სწავლაში).

შემდეგ გუბერნატორმა დაათვალიერა შკოლის მთელი შენობა, იყო პანსიონერთა საძინებელ ოთახში, სადაც ნახა პანსიონერთა თავთავისი სუფთად დალაგებული ლოგინები. მიუხედავათ იმისა, რომ მეურნე შეგირდები ყოველდღე შავ მიწას ჩაკირკიტებენ, ბევრნაირ შავი მუშების სამუშაობას ასრულებენ შკოლის სიღარიბის გამო, შკოლის შენობაში საკმაო სისუფთავის დაცვას მაინც მიჩვეულნან. და თუმცა შკოლა აგერ 22 წელიწადია არსებობს და ერთი კაპიტალური, ხეირიანი რემონტი არ ჰქონია მას, ისევ და ისევ მისთვის შეჩვეული უსახსრობის გამო, მაგრამ დღევანდელი მუშა მეურნეები მაინც იცავენ იქ სისუფთავეს.

გუბერნატორმა დაათვალიერა ოგრეთვე შკოლის ბაღი, მეურნეობა, ნახა სარდაფი, სამეცნიერო დანაყრებული მეურნის სახით უმეცნიერებოდ მესაქონლეობელ მეურნეებს, რომელთა საქმიანი მეურნეობა შეიძლება ხშირათ ცუდ პირობებში გვარიანათ მოსწორებია და უეჭველია იგი თავის დახმარებას არ მოაკლებს ამ შკოლას, თუ მისი პირვანდელი დამაარსებელნიც გულს მოიბრუნებენ ამ სასარგებლო დაწესებულებაზე.

ამიტომ საჭიროა ქუთაისის სამეურნეო განყოფილებაში, რომლის პირმშო შვილი ეს შკოლა არის და რომლის წევრებიც დღემდი მის სასარგებლოთ კაბინეტურ მოღვაწეობას ეწეოდენ და ამის გამო მასაც ისის იყო კინადამ სული ამიხდა მხოლოდ კანცელიარულ საქმიანობაში, მაგრამ ამ სულის ღაფვაში მას მიუსწრო მისმა ძველმა თუთხმეტიოდე წევრმა, რომელთაც საწევრო ფულის შეტანით გადაარჩინეს იგი სიკვდილს. დღეს საჭიროა ამ საზოგადოებაში ნამდვილი მეურნეები შეიკრან და თავიანთი პრაკტიკული გამოცდილებით, დასაბუთებული გეგმებით, რჩევებითა და პრაკტიკული მოქმედებებით გამოაცოცხლონ ეს დღემდი კანცელიარულ საქმიანობათ გადაქცეული საზოგადოება.

იმერეთი და შიგ მისი ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრი—ქუთაისი, სწორეთ დღეს საჭიროებს იმგვარ კულტურულ დაწესებულებას, რომელიც სანამ რუსეთის კუდმოფაქცევნილი ერობის ღირსიც არ გამხდარვართ, უწევდეს საზოგადო-სამეურნეო საქმეებს მფარველობას და დახმარებას. ამ საზოგადოების გამოცოცხლება სწორეთ დღესა საჭირო, რადგან მთავრობა სამეურნეო შკოლას თავის, სუსხიდიით გადაეეთმას უპირებს და მაშასადამე, ადგილობრივი მფარველი ამ შკოლისა სამეურნეო საზოგადოება ამ მის ავ-კარგზე უფრო ყურგამოფხეცილი უნდა იქნეს, ვინემ დღემდი იყო, რომ ხსენებული შკოლა ჩვენი ქვეყნის ადგილობრივ სამეურნეო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურებოდეს.

მაგრამ ამაზე კიდევ შემდეგ...

ალექსანდრე გეცაძე.

ორი სურათი.

გუდაური არდაიან ეგდოშვილს.

სამშობლოს გულს გაცრეცილსა სული ხდება ცეცხლის ალში,
ზღვის ტალღები რისხვით შფოთავს, ცუდს უქადის მომავალში.
ცა მეხს სტყორცნის, ელვის რკალი მწვრთენ კვესავს მთა-და-ბარში,
შავი გველი დასისინებს, შხამსა ანთხევს ედემ-ბაღში!

ამ დროს, ჩანგი ღვთიურ ჰანგით მოუმართავს ჰაბუკ მგოსანს,
კვარცხლბეკზე სდგას შავბურუსში, სევდის ნაღველს მწვრთენ ლესავს,
ხან გადადის ბრძოლის ცეცხლში, ხან ზღვას სტყორცნის გულის კვნესას,
შშობელს გულზე შხამსა აწრობს და წყლულზედაც ასხამს ნეკტარს!

*
* *

სამშობლოს მკერდს აკოკრებულს გარს არტყია ზღუდე კლდისა,
ვარსკვლავებით გაჭედილი თავს დასცქერის სიერცე ცისა,
მთავარე უცხოთ გაბადრულა, მოუხიბლავს გული ზღვისა,
ცის ეთერში მინარნარობს, დედამიწას ფერქვეეს სხივსა!

მგოსანი სდგას ფერ მიხდილი, მოუქანცავს ბრძოლის სურვილს,
ხელთ უპყრია რწმენის ვარდი, ეგ სიმბოლო სიყვარულის,
მას დასცქერის და შეჰხარის, მისის ყნოსვით იკლავს წყურვილს,
ლოკავს ერი და სამშობლო, მადლის სხივი თავზე უვლის!

ამერელა ქალი.

კრატოვს“ და ი „კომუნიზმს“. არავინ დაუპატიმრებიათ.

გაფიცვა. ლიბერმანის სტამბაში მუშები გაიფიცენ, რიცხვით 60 კაცი. წარუდგინეს სტამბის პატრონს ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილება, რომელიც 12 მუხლს შეიცავს, ექვსი მუხლი უკვე დაკმაყოფილეს.

საქმაქა სესხი. 7 ივნისს მეფის მოადგილის სამჭო განიხილავს თფ. ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობას. თვითმართველობა შუამდგომლობს, რათა ნება დართოს მას, აიღოს 800,000 მან. სესხი ავჭალის წყალსადენის საჭიროებისთვის და ქალაქის დეფიციტის დასაფარავად.

ჭიათურის სამთო-ტექნიკური სასწავლებელი.

სულ ორი წელიწადია, ეს სასწავლებელი რაც აქ არსებობს.

იგი ახალი ტიპისაა არა მარტო ჩვენში, არამედ მთელს რუსეთშიაც. სასწავლებლის მიზანია—მომზადოს სამთო-ტექნიკები სამრეწველო რაიონებისათვის, განსაკუთრებით კი კავკასიისათვის.

სასწავლებელში ასწავლიან: სამთო-ხელოვნებას, გეოდეზიას, მარკშეიდერიას, მინერალოგიას, ქიმიას, საალმშენებლო ხელოვნებას, ფიზიკას ელექტრო-ტექნიკურ განყოფილებით, გეოლოგიას, ბუღალტერიას, მედიცინას (პირველი დახმარების აღმოჩენა უბედურ შემთხვევის დროს) ალგებრას, ტრიგონომეტრიას, გეომეტრიას. სასწავლებელს აქვს აგრეთვე საუთარი სახელოსნო და ლაბორატორია.

სწავლა 1 ეკენისთვიდან იწყება და გრძელდება 1 მაისამდი, შემდეგ ორი თვის პრაკტიკა და სამოსწავლო წელი გათავებულათ ითვლება. სასწავლებელში ყოველდღე 8 გაკვეთილია. 5 შუადღემდი და 3 ნაშუადღევს. ყოველკვირაში 1 დღე 8 საათს მოწაფეები ჯგუფებით დაყოფილნი მაღაროებში და სარეცხჭარხნებში ატარებენ. როგორც მკითხველი დაინახავს სასწავლებლის მიზანი უძვირფასესია.

ის დიდი განძია მთელი ქუთაისის გუბერნიისათვის, განსაკუთრებით კი ჭიათურის ახლო-მახლო მდებარე სოფლებისთვის და, აი, რატომ: დღეს ყველამ კარგათ იცის, თუ როგორ გზა-კვალ დაბნელილნი რჩებიან სამოქალაქო სასწავლებელ დამთავრებულნი. ამის მიზეზი კი, უმთავრესათ, ორი მოვლენაა: 1) სასწავლებლების უქონლობა და 2) სიღარიბე. მართალია, ჩვენში (კავკასიაში) არის მიწის მზომელთა სასწავლებელი, სამსწავლებლო ინსტიტუტი, რომელთათვისაც სამოქალაქო კურსდამთავრებული საკმარისათაა მომზადებული, მაგრამ იქ ჩვენ იმისთანა მუხრუჭში გვატარებენ, რომ მთელს სასწავლებელში თითო-ოროლა ძლივს მოიპოვება ქართველი.

ჭიათურის ახლო-მახლო მდებარე სოფლები, თავის შეუძლებლობისა გამო, მოკლებული არიან სწავლა-განათლებას. მათ საშუალება ეძლეოდათ და ეძლევათ ახლაც თავიანთი შვილები ჰიათურის სამოქალაქო სასწავლებელში მიებარებინათ, მაგრამ აქ სწავლის დამთავრების შემდეგ გზა აღარა ჰქონდათ.

დღეს კი მათ საშუალება ეძლევათ სწავლა განაგრძონ იქვე არსებულ სამთო-ტექნიკურ სასწავლებელში, რომლის შემწეობითაც მიიღებენ, როგორც საქმარის ცოდნას, აგრეთვე საშუალება ექნებათ თავი დაიხწიონ დუხჭირ მდგომარეობას. აქვე უნდა დავძინოთ ისიც, რომ, როგორც ეს სასწავლებელი, აგრეთვე, სამოქალაქოც, შვიდ საბჭოსაგან არის აგებული და ოგივე საბჭო ინახავს, რაც დიდ შეღავათს აძლევს მოსწავლეთ. წელს ამ სასწავლებელმა უკვე მოგვცა 14 ახალგაზდა, მომზადებული სამთო ტეხნიკი, რომელნიც დიდ სამსახურს გაუწევენ სამრეწველო რაიონებს.

სამწუხაროთ ჩემდა, უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთ ადგილობრივ „შტიგრებს“ ლაბავრივით დაესათ გულს ამ სასწავლებლის დაარსება და ყოველ ნაბიჯზე ცდილობდენ მისი სახელის დამცირებას, მაგრამ ისინი ასეთ პირებით ფონს ვერ გავიდენ.

არ შემიძლია აქვე არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ ამ სასწავლებიდან ქართული სესხები განდევნილია. ალბათ შავიკენის მრეწველთა საბჭო სასწავლებლის დებულების შედგენის დროს (სადაც ქართული კრინტიც არაა დაძრული) ალბათ მით ხელმძღვანელობდა, რომ ამ სასწავლებელში ადგილობრივ სამ. სასწავლებელ კურს დამთავრებულნი შევლენო, რომელთაც სამშვინიეროთ იციან ქართული. მაგრამ, ისეა თუ ასე, მაინც კარგი იქნებოდა კვირაში ერთი კაკვეთილი მაინც იყოს ქართულისა.

ზან—განაშ.

ვ. ა. გურკოს ლექცია

პარასკევს, 6 ივნისს ქალაქის თეატრში ვ. ა. გურკომ წაიკითხა ლექცია.

ლექტორი შეეხო რა დღევანდელ საქართველოს მდგომარეობას და აღნიშნა, რას წარმოადგენდა საქართველო მრავალ საუკუნეთა წინ, რადონეზე იყო დაყენებული მისი კულტურა და მატერიალური მდგომარეობა.

ის შეეხო საქართველოს ისტორიის ორ ხანას თამარისას და „ვერცხლის ეპოქად“ წოდებულს და თქვა, რომ ეს ორი დრო საქართველოსთვის იყო საუკეთესო ხანები მთელ ისტორიაში. ამ დროს ფრთა გაშალა ეროვნულმა ფრიად ორიგინალურმა საქართველოს კულტურამ. მას შემდეგ ლექტორი შეეხო საქართველოს პოეზიას, მუსიკას, რელიგიას და სთქვა: „თუმცა საქართველოზე ბევრი ეწერებ დიდი გავლენა ჰქონდათ თავისი კულტურით მაგრამ მან თითქმის ხელუხლებლათ შეინარჩუნა თავისებურობა, ორიგინალობა და საუკუნოვდ შეიართა აღმოსავლეთიდან შემოტანილ კულტურასთან საკუთარიო“. საქართველო უმთავრესათ იმყოფებოდა ბიის კულტურის გავლენის ქვეშ—მის მუსიკას, პოეზიას, რელიგიას უმთავრესათ აღმოსავლეთის პოეზიის გავლენის ქვეშაა დაწერილი, ვიდრე დასავლეთის, ამას ისიც მოწმობს, რომ, როცა ვახტანგ მეექვსემ მოიწვია მისი შესწავლა ქრისტიანული თვალსაზრისით—მისმა ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა.

ქართულ პოეზიაზე ლექტორი ცოტა ხანს ლაპარაკობდა და თითქმის გამოურკვეველი დარჩა; რაში გამოიხატებოდა აღმოსავლეთის და, განსაკუთრებით, სპარსული პოეზიის გავლენა ქართულზე, რას წარმოადგენდა თვით აღმოსავლეთის ლიტერატურა და შეიძლებოდა თუ არა, რომ ქართულ პოეზიაზე გავლენა ჰქონოდა დასავლეთის პოეზიას.

შემდეგ ლექტორი შეეხო ქართულ მუსიკას და ქართველების რელიგიურ მსოფლმხედველობას. აქ მან აღნიშნა, რომ ქართულ მუსიკას თითქმის არც ერთი აღმოსავლეთის ხალხს მუსიკა ვერ შეედრება და იგი სრულიად ორიგინალურიაო. თუ არ ვიგულისხმებთ აღმოსავლეთისგან გადმოღებულ ჰანგებს ქართულ მუსიკას არცერთი ქვეყნის მუსიკის გავლენა არ განუცდია, ის სრულიად ორიგინალარი, ნამდვილ ქართულიაო. მეორეს მხრით ქართველებმა მუსიკალური განვითარებით ბევრით წინ გაუსწრეს თვით ევროპელებსო. თუ ევროპაში მეთუთხმეტე საუკუნეში დაიწყეს მრავალ ხმიანი მუსიკა და ისიც მუსიკის მცოდნე პირებმა, სპეციალისტებმა, საქართველოში ხალხმა ეს მრავალ ხმიანობა თითქმის პირველი საუკუნეებიდანვე შექმნა.

ძლიერ დიდხანს ილაპარაკა ლექტორმა ქართველების რელიგიურ მსოფლმხედველობის გარჩევის დროს და აქაც ქართველობის თავისებურობა და ორიგინალობა დაინახა.

მთელ ლექციაში ლექტორმა გაატარა ის აზრი, რომ—საქართველოს თავისი არსებობის დასაწყისიდან ჰქონდა საკუთარი კულტურა, რომელიც ბევრ შემთხვევაში გაცილებით მაღლა იდგა მეზობლების კულტურაზეო. დასასრულ ავტორმა აღნიშნა ზრდა აღმოსავლეთის დაცემული კულტურისა, შეეხო ჩინეთის და ინდოეთის გამოღვიძებას მათი ფილოსოფიური აზრის მეშვეობას ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში. შეეხო თაგორის პოეზიას და სხვ.

ლექცია საყურადღებო იყო, თუმცა ზერელობა ეტყობოდა. მეცნიერული არ იყო. ხალხი ცოტა დაესწრო.

ჭიაბა ნოგუს.

ქართლი.

25 მაისს ს. მეკვრისხევში დღეობა იქის. მეც წავედი, რადგან სოფელს ძალიან აქებდნენ, და მისი დათვალიერება მინდოდა. მშვენიერი უზარმაზარი სოფელი, გახვეული ხე-ხილში. დასავლეთით გიმაჟი მეჯუთა; ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით—თვალ-წარმტაცნი მწვანეთ მოკრული მთა-გორაკნი, სამხრეთით დაუსრულებელი ტრიალი მინდვრები. ეუარებელი ხალხი; დიდი ვაჭრობა. სოფელს ჰყავს ექიმი; არსებობს საკრედიტო საზოგადოება. არის ბევრი დუქან-მაღაზია. არსებობს სამ განყოფილებიანი შკოლა, რომელშიაც ას მოსწავლეზე მეტი დაიარება, და რომლის სვე-ბედიც ამარია ზედამხედველს (ბერძენია, ქართველი არ იცის) და ოთხ მასწავლებელს, რომელთა რიცხვშიც შედის ადგილობრივი ღვდელი.

დაახლოებით ათი დღის წინათ აქ ფრიად საგულისხმო ამბავი მომხდარა. მასწავლებელთა შორის დიდი ერთობა არ სუფევს თურმე. რაღაც კინკლაობა მოსულიათ მასწავლებლისა და ქალ მასწავლებელს. საქმე იქამდი მისულა, რომ ქალს მასწავლებლისთვის სილა შემოუკრავს. ამ უკანასკნელს „სამაგიერო“ ერთი კარგი გამოქნილი მუშტი მიუწაზღაურებია. ამ ამბავზე მოწუფეებს ერთი წეიერკიელი აუტეხნიათ. გმირი პედაგოგი ამ ყვირილზე გამსპინძლებია საშინელის უშვერის სიტყვებით, რომელიც ქუჩის უკანასკნელ მაწანწალას დამახასიათებელია. ახლა გაგაცნობთ ზედამხედველის ფიზიანომიას. მის საპედაგოგის, რომ არ შევეხოთ და მხოლოდ ერთი ფაქტი ვიცოდეთ, ეს უკანასკნელი ნათლის მჭეშმარიტის პატიოსანი გვაი.

ერთ ოჯახში ნადიმის დროს სუფრის უფროს აუღია ჭიქა და უთქვამს:—ეს გაუმარჯოს საქართველოსო. აქ სიტყვა „ჩვენ“ არა ყოფილა, რომ მას სხვადასხვა მოსაზრების დასკვნა გამოეყვანა. „სწავლა-აღზრდის“ ზედამხედველს არ მოსწონებია წარმოთქმული სადღეგრძელო და გალეშილს უთქვამს:—რის საქართველო, რომელი საქართველო, რისთვისაც ბევრი მოხეტიალია ადგილობრივი აზნაურისაგან.—თუ საშუალო და უმაღლესი სწავლის საქმე დღესაც დიდ რყევაში დაუდგრომლობას განიცდის ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ სწავლა განათლების საქმეს ამ საფეხურზე დღემდის თავისი გენიოსი არა ჰყოლია; რაც შეეხება დაბალ შკოლის საქმეს, მას ჰყავდა თავისი გენიოსი—პეტალოცი, რომელმაც საეკუთნო საძირკველი ჩაუყარა დაბალ სასწავლებელსაო, ამბობს პროფ. ნ. ლანგე. და აი, რა მაძიფთად შეპხვევია იმ დიდებულ ყანას, რომლის ნიადაგშიც უზომო ენერგია და სიყვარული დაუთესნია დიდებულ ჰესტალოცის! არ ვიტყვი—უმრავლესობა, მაგრამ შეცდომაც არ იქნება იმის თქმა, რომ ბევრი სოფლის მასწავლებელთაგანი საკუთარ სახეს დაინახავენ ამ ნაამბობში. გონებრივი და ზნეობრივი სიღატაკე საზღვრებს გადასულა, როდესაც მოწაფეების წინ მასწავლებელი მასწავლებელს ხელით შეეხება და თან ინციდენტის გასაქარწყლებლათ ზედაც „მარგალიტი“ სიტყვებით მიჰმართავს თავის „აღზრდილებს“. მერე ვინ ამცნო საზოგადოებას პრესის საშუალებით ეს ამბავი?—არავინ; ვერავინ, რადგან სული ტკბილია, რადგან სახიფათო იყო, თორემ, ამ ინციდენტის გამოქვეყნება.

დიახ, ჩვენდა სავალალოდ ეს პედაგოგია კიარა მუშტაგოგიაა. ამისთანა ვაჟბატონებს ნახირიც კი არ ენდობათ, არამც თუ ახალგაზრდა თაობა. სწავლა-აღზრდის საქმე მათ მხოლოდ ანბანის შესწავლება ჰგონიათ. კადნერება მინახავს და გამიგონია, მაგრამ ყველა ეს ნაამბობი კი უსაზღვრო საზიზღრობაა.

ტარასაშვილი.

სახელმწიფო სათათბირო.

4 ივნისის სხდომა.

საღამოს სხდომაზე ჯორუნ-სკურტე თავჯდომარეობს.

განსახილველათ მიღებულია საკანონმდებლო მოსაზრება, რათა ტომსკის უნივერსიტეტში დაარსდეს ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი, ხოლო სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში ფაკულტეტი მოქმედება გაავრცელოს ყველა წოდების პირებზე, ვინც კი სოფლის ფარგალში ბინადრობს 5 წელიწადს მაინც და ირიცხება სახელმწიფო, საზოგადო ან სასულიერო სამსახურში.

კურსკის სწრაფ განსახილველათ მიანჭია უფის სატუსაღოში პსკოვის საპატრონო ციხის ადმინისტრაციის ტუსაღებისადმი მოქმედება.

სისწრაფე მიიღეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ლაპარაკობს მინსკის გუბერნატორის გამო, რომლითაც პოლონეზში პოლონური ენა იდევნება. არსებულ კანონის მიხედვით ქუჩებსა და მოედანზე წესიერების მეთვალყურობა პოლიციას ევალება. მაღაზიების გამოკრული განცხადებანი რუსულად უნდა იყოს, რადგანაც რუსული ყველამ იცის, პოლონური კი არა. გუბერნატორის განკარგულება ამ შემთხვევაში კანონიერია.

სეიმი. პოლონელები თხოულობენ განცხადებების გამოკვრის უფლებას მხოლოდ პოლონურათ კი არა რუსულათ და პოლონურათ.

დაშმა. თუ მთავრობასა სურს გააუქმოს ყველა უფლებანი, რაც კი დასავლეთ მხარეს აქვს ბოძებული, დღე საამისო კანონპროექტი წარმოადგინოს.

ზამანდოფსკი სიამოვნებით ეგებება მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს.

რაჩკოვსკი ადასტურებს, რომ პოლონეთში პოლონურ ენას სდევნიან.

გრაფი ბობრინსკის მინსკის გუბერნატორის საქციელი ამ საქმეში შეცთომით მიაჩნია.

სვენიცკის ფორმულა მიიღეს, 118 ხმით 54 წინააღმდეგ.

(შემდეგი სხდომა პარასკევს).

რუსეთი.

დეპეშები

(ტეტ. დეპ. სააგ.)

5 ივნისი.

პეტერბურგი. ავიატორმა სიკორსკიმ აეროპლან ,,ილია მურომეცზე'' იფრინა 2000 მეტრის სიმაღლეზე 1 საათის და 26 წუთის განმავლობაში. აეროპლანში ისხდა 10 კაცი, ამით მან აიღო მსოფლიო რეკორდი.

კგკგაჩი. გაიხსნა რადიოტელეგრაფის სადგური.

პეტერბურგი. დილის 9 ს. 45 წ. კიშინევიდან ცარსკოე სელოში მობრძანდნენ: ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა, უფროსტესი შვილებით. სადგურზე მათ მიეგება მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე და სხვა თანამდებობის პირნი.

ოდესა. ხელმწიფე იმპერატორის ოდესაში მობრძანების გამო გრანდიოზული მა გაანთავისუფლა ტუსაღნი—პოლიტიკური ტიული წესით დასჯილნი.

პეტერბურგი. პეტერბურგს დაბრუნდენ: სახალხო განათლებისა და გზათა მინისტრები და შინაგ. საქ. მინისტრის ამხანაგი ჯუნკოვსკი.

უცხოეთი.

დეპეშები.

5 ივნისი.

სტამბოლი. მინისტრთა საბჭოს სხდომა შესდგა ოსმალეთ-საბერძნეთის დამოკიდებულობის საკითხის განსახილველათ. შეიშუშავეს პასუხი საბერძნეთის ნოტისა ბერძნეთა ემიგრაციის გამო. ამ პასუხს გადასცემენ საბერძნეთის მთავრობას 5 ივნისს. როგორც საავ. კორესპონდენტი იუწყება საპასუხო ნოტას შერიგებითი ხასიათი აქვსო.

ჟენა. კორბიეროს დურაცოდან ატყობინებენ: მთაერობის ჯარმა და 1500 მალისორმა იერიში მიიტანა აჯანყებულთა პოზიციაზე. ორივე მხრიდან ფიცხელი სროლა ატეხეს. არტილერია შეუსვენებლივ მოქმედობს.

ათას ოსმალეთის ელჩმა ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრი და აცნობა მას ის ზომები, რომელიც მიიღო თალათ-ბეიმ მცირე აზიიდან ბერძენთა ემიგრაციის წინააღმდეგ.

ლონდონი. თემთა პალატაში ეკლენდმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა სხვა სახელმწიფოსთან შეთანხმებით ყოველივე ზომას იხმარს სამერძნეთსა და ოსმალეთის შორის შესარიგებლათ.

ტოკიო. სეიუკაის პარტიის ბელადათ აირჩიეს შინაგან საქ. მინისტრათ ნამყოფი—ხარა. შინაგან საქმეთა მინისტრათ აკრძალა მუშათა პარტიის დაარსება.

დურაცო. 4 ივნისს, სალამოს 10½ საათზე სროლა თანდათან გაძლიერდა. კანანადა არ სცხრება არც ერთს წუთს. როგორც ჩანს, აჯანყებულთ ეერიაში მიიტანეს ხიდის ასაღებათ.

ჟენა. ვენის გაზეთების ცნობით, დურაცოში მდგომარეობა ძლიერ შერყეულია. „რეიხსპოსტი“ ამბობს: ალბანეთის მართველის წინააღმდეგ გაილაშქრა ოქროთი მოსყიდულმა 1000 ფანატიკოსმა მაჰმადიანმა. პრინცს შერჩა მხოლოდ მცირეოდენი მომხრე და ამგვარათ იგი ღვთის ანაბარათ დარჩაო. „ნეიე-ფრეიე-პრესსე“ იტალიელებს ამტკიცებს იმაში, რომ მათ წინდაწინვე აცნობეს აჯანყებულთ ტომსონის მიერ შემუშავებული შეტაკების გეგმა, რის წყალობითაც აჯანყებულებმა დაასწრეს ტომსონს და პირველათ მათ მიიტანეს იერიში.

წვრილი საკრედიტო ამხანაგობის შესახებ.

დ. სამტრედიაში კვირას, 1 ივნისს, მოხდა კრება წვრილი საკრედიტო-ამხანაგობისა; როგორც ანგარიშებიდან ჩანს, ძველ გამგეობას გაუწევანგავს 120 მ—დი ფული, ხალხმა მათ უმადლოფილება გამოუცხადა და გადაყენა. კრებამ გამგეობის ახალი წევრები აირჩია.

წვრილი საკრედიტო ამხანაგობა აქ დაარსდა ამ ერთ წლის წინათ. ამხანაგობამ მოქმედება მცირე თანხით დაიწყო; თავჯდომარეთ მაშინ აირჩიეს გ. ურუშაძე, რომელმაც საქმე რიგიანათ ვერ წაიყვანა. იგი მალე გადაყენეს. ამხანაგობამ თავჯ. ტალაბაძე აირჩია. ეგონა ამის ხელში-მაინც შესაფერ ნაყოფს გამოიღებდა ის ტ აყვავდებოდა, მაგრამ ხალხი მასშიც მოტყუედა; ეს ცხად ჰყო 1 ივნისის კრებაზე წაყენებულმა ანგარიშებმა. საკრედიტო ამხანაგობა, თუ ის კარგს ნაიდაგზე წარმოებს დიდ დახმარებას გაუწევს ხალხს მატერიალური მხრით. რა თქმა უნდა, ასეთ სასარგებლო დაწესებულებას, მართლა გულშემატკივარი პირები უნდა ედგენ სათავეში.

ჩვენ-ძალიან-დიდი იმედი გვაქვს, რომ ახალი გამგეობა პირნათლათ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას და არ ექნება ალაგი შენ-ჩემობას, ნათლი-მამობასა და სხვ.

საჭიროა აწი მაინც შევიგნოთ, რომ ბოროტი საქმეებით ჩვენ ვიკლავთ ჩვენს თავს ხალხის თვალში.—ვუსურვებთ ახალ გამგეობას საქმის კეთილათ დაგვირგვინებას.

სან განა.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
შაბიაბნის სითხით

მექვენახეთა საყურადღებოდ.
მიღებულია და იყიდება
უმაღლესი ხარისხის
ვაზიერ ზოგიერ ფასად ნამდვილი ინგლისური ოაგიაბანი, 0.0.
ვენახების საჭიროდ მანქანები გერმორელისა და ჰლატაცისა, გოგირდის საბერველები.
მანქანების ყოველგვარი რეზინებისა და სხვა მოწყობილობა.

დეპო ლამპეულის, ბურჭლეულობის, აქეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის ,,ვიკანდერ და ლარსონის'' სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავების), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

დაბა-სოფელი.

ჯ. სარჩერე (შორაპნის მაზრა). ყველასთვის ცხადია, რომ ეს დაბა ძალზედ ჩამორჩენილია სწავლა-განათლების მხრით; ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ კეთილ ინება და ამ დაბაში გახსნა თავის ხარჯით პარალელური კლასები ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლისა, მხოლოდ შენობა კი საჭიროებს უნდა დაეჭირავებინათ თავის ხარჯით. ამ საქმისთვის აირჩიეს კომიტეტი: შერაბა კაპანაძე, ვანო ბეგალოვი, ვანო კალოევი და გიორგი გაფრინდაშვილი, რომ მათ მოეძებნათ შენობა, დაექირავებინათ და ფულიც აეკრიბათ ვაჭრობიდან ქირის გასასტუმრებლათ. იქირავეს თ. როსტომ წერეთლის სახლი 800 მანეთად წელიწადში, მაგრამ სამწუხაროთ, კანტრაქტის გაკეთების შემდეგ რამდენიმე ვაჭრებ'ა ფულის მიცემაზე უარი განუცხადა და ამ ოთხ კაცს დაუწყდა თავზე სამი წლის ვადით ნაქირავები სახლის ფულის გადახდა. 200 მანეთს შეშისას და ნავთისას იძლეოდნენ ასე, რომ სულ 1000 მანეთს იხდიან და რადგანაც ეს ფული საგრძნობი გადასახადი ოთხი კაცისათვის, ამიტომ მათ მიმართეს შავი ქვის საბჭოს თხოვნით, რომ თვითოეულ მოსწავლეს გადახდინოდა სახლის საქირაო ფულად 5 –10 მანეთამდი და დანარჩენს ესენი იზღდნენ. მაგრამ საბჭომ უარი განაცხადა და აღუთქვა, რომ თუ არ იქირავებენ იმ შემთხვევაში სჩხერიდან ამ სასწავლებელს გადაიტანენ სხვა ადგილს. კომიტეტის წევრები იძულებული გახდენ თავისი ჯიბით გაესტუმრებინათ ეს ქარა, მათ ისესხეს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს თხოვნით 300 მანეთი და გაისტუმრეს შენობის ქირა. ახლა ამ ფულებსა სთხოვს ბიბლიოთეკის გამგეობა მათ და მასთან სახლის ქირის გასტუმრების დროც მოახლოვდა. საიდან გაისტუმრონ ამ ოთხმა კაცმა, დიდ-სავაჭროებელში არიან ჩავარდნილი, ვისაც მიმართეს ვაჭართაგანს და სთხოვეს დახმარება, უარით გაისტუმრეს. კომიტეტის წევრთ აზრათ აქვსთ მიმართონ შავიქვის საბჭოს და სთხოვონ, რომ მომავალი სასწავლო წლიდან მაინც დაავალდებულონ მოწ-ფეთა შშობლები შემოიტანონ საკუთარი შენობის შესაძენათ თითომ სანამ მათი შვილები ამ სასწავლებელში იქნებიან ათ-ათი მანეთი და იმედიც აქვსთ, რომ საბჭო შეისმენს მათ თხოვნას. და გამოიხსნის ამ ოთხ პირს ესრეთი გასაჭირიდან. ამასთან, იმედია, საჩხერელი ვაჭრებიც გამოეხმაურებიან და გაიგებენ, რომ ეს სასწავლებელი მათ დიდ სარგებლობას აძლევს და არ დაიშურებენ მისთვის თავის წვლილს.

მოდა-მზნე.

მუხა-ყრუის საზოგადოება. მუხა-ყრუის საზოგადოება დ. სამტრედიიდან ქვემო ეფრის მანძილზეა დაშორებული და შედგება რვა სოფლისაგან – მუხა-ყრუა, დაფნარი, ორპირი, ძველი და ახალი ოფეთი, წიალობანი, გომი და ტერჩოლისაგან. მცხოვრებთა რიცხვი 1200 კომლამდია. ხალხი უმეტეს ნაწილათ ხენეთესავია და ვენახის გაშენებას მისდევს, აშენებენ აგრეთვე დაფნის ხეს, ბამბას, და სხვადასხვა ხეხილს. მებაღეობას ამ ბოლო დროს მიყვეს ხელი და თუმცა ჯერ ისევ პრიმიტიულ ნიადაგზეა დაყენებული, მაგრამ თანდათან ვითარდება.

რაც შეეხება ხალხის დღეგანდელ მდგომარეობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ შარშანდელმა მოუსავლობამ ხალხი ძლიერ დააზარალა, აქაც ბევრია, რომ თითქმის შემოდგომიდანვე შემოაკლდათ საზრდო და დღეს უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებიან. მთავრობისგან დახმარებას ისინი სიხარულით შეხვდენ და მკეთრებელების თითქმის უმეტესმა ნაწილმა თანხმობა განაცხადა მათთვის დახმარება აღმოეჩინათ. ამასწინათ მუხა-ყრუის საზოგადოების სოფლებს უკვე დაურიგდათ სიმინდი. საერთოდ მთელ საზოგადოებას 14500 ფუთი სიმინდი.

კულტურული მხრით ეს საზოგადოება არც ისე ჩამორჩენილია—აქ არსებობს ერთი ორკლასიანი სამისწავლებლო სამრეველო შკოლა (დაფნარში), სამკომლეტიანი ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი. რამდენიმე პირველდაწყებითი სამრეველო შკოლა და შემნახველგამსესხებელი ამხანაგობა. ამას წინათ საზოგადოებამ დაადგინა ავგო 1 კლ. შენობის მაგიერ ქვის შენობა და სასწავლებელიც ორკლასიანათ გადაეკეთებია; ამისთვის მას უნდა გადაეხადა 10,000 მანეთამდი. რამდენიმე მთავრობაც ეწვიდა. წელს უნდოდათ კიდეეც შეხდგომოდენ საქმეს, მაგრამ მოუსავლობისაგან დაზარალებულმა ხალხმა ვერ შეძლო ამდენი ფულის გადახდა და, გარდა ამისა, თვით სოფლებს მოუვიდათ ერთიმეორეში უთანხმოება—ზოგს სამრეველო შკოლა ქონდა დაარსებული, ზოგმა შეიდგე დააარსა და ამგვარათ უარი განაცხადეს ორკლასიანი სასწავლებლის შენობისთვის ფულის გადახდაზე. ამბობენ აგრეთვე, რომ ათიათას მანეთს საზოგადოება ვერ გადიხდის და ფული შეეამცირათო, ამისთვის პირებენ ქვის შენობის მაგიერათ ხის შენობა ააგონ და, თუ ეს სხე გადაწყდა და გადასახადი ფული შემცირდა, მკონია საზოგადოება წესსაც შეუდგეს შკოლის აშენებას, მით უხედავათ შიშშლილობისა.

ბევრი ნაწილებია აგრეთვე დაფნარში არსებული სამისწავლებლო შკოლა. ეს სასწავლებელი წინათ შორაპნის მაზრის ს. ალისუბანში არსებობდა, აქ ამ შკოლას დიდი ხანი არ უცოცხლია—ის დაიწვა და რადგანაც შენობის აგება დაგვიანდა სწავლაც კიოხით შესწყდა. რადგანაც შენობა სოფლებმა ვერ აგება და შკოლა ფაკტიურათ აღარ არსებობდა, 1912 წელს ონელებმა სთხოვეს საპოლიციო მთავრობას, რომ ეს ორკლასიანი შკოლა ონში გადმოეტანათ იმ პირობით, რომ ისინი დაუთმობდენ შკოლას საკმაო ადგილს და ააგებდენ საჭირო შენობას. შკოლა, მართლაც, ონში გადაიტანეს, მაგრამ მას არც იქ უცოცხლია დიდხანს: ეპარქიის მეთვალყურემ ბ. აფარკევემა, რევიზიის შედეგ განკარგულება მოახდინა, რომ ეს შკოლა გადატანილ იქნას ჭუთ. მაზრის ს. დაფნარში. ონელების ცდამ ტყუილათ ჩაიარა და ეს შკოლა საბოლოოთ დაფნარს დარჩა. ამ შკოლისთვის ბევრი იზრუნა ამ მხარეში კარგათ ცნობილმა მიხეილ ერასტისძე დარახველიძემ. მან დაუთმო საზოგადოებას შკოლისთვის აღგილი და შენობა. ბევრი ეცადა ამ შკოლის ახლო „პლათფორმა“ დაარსებულიყო, რაიც სისრულეში მოიყვანა. დღეგანდელი ამ შკოლის გამგე ღვდ. ამბროსი კანდელაკი ამ შკოლისთვის ენერგიულათ შრომობს, ბეჯითად ეკიდება საქმეს და მართლაც შკოლის საქმე კარგათ მიდის.

ეუსურვებთ, რომ მომავალშიც ამ შკოლას მისი ხელმძღვანელთა მეოხებით პირნათლათ შეესრულებოს თავისი დანიშნულება და შემდეგში გამოეშვას ენერგიითა და ცოდნით აღჭურვილი მასწავლებლები, რომელნიც დღეს ჩვენი ხალხისთვის ასე საჭირონი არიან.

ჭიმა ნოეს.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატ. რედაქტორო!

ამა წლის 8 მაისის გაზ. „ეზრის“ ნუმერში წერილია მოთავსებული სოფელ—მთხოჯრიდან, რომელშიაც ვიღაც შოლტი, პირადი ინტერესებათ გაჯავრებული არ საკადრისათ მიხსენებს მე.

ვინაიდან არა დრო მაქვს და არც მადა ვიღაც წერის საღრეღანაშლილ შოლტებს პასუხი ვაძლიო, რადგან მე საზოგადო წმინდა დაწესებულებას უდგევარ სათავეში, რომელიც შოლტებზე მაღლა დგას, ამიტომ სიმარალის გამოსარკვევათ თქვენი პატივსემეული გაზეთის საშუალებით ვიწვევ ბ. შოლტს სამდივანოროო სამართალში შემდეგი პირობით:

1) მტყუანმა გადაიხადოს ორას-ორმოცდა-ათი მანეთი (250 სანეთი) შემდეგ დაწუსებულებათა სასარგებლოთ: ტუთ-ბეთი თემანი მიეცეს:—ხონის სამკითხველოს, ხონის მთავარ-ანგელოზის სამრეველო სკოლას, ნახაბუღევის სამინისტრო სასწავლებელს, მათხოჯის სასწავლებელს და მათ. სამკითხველოს.

2) ყოველივე ხარჯი გამოწეული ამა საქმით, რასაც სამსჯავროო იქნობს, აუნაზოფროს მართალ მხარეს მტყუანმა მხარემ.

3) დღიდან განჩინების გამოსახდებისა მტყუანმა მხარემ დაავადოს სოფ. მათხოჯი 24 საათის განმავლობაში და გააშორდეს მას.

4) მხოლოდ, თუ რომელიმე მხარემ სიწყრის გამოიჩინოს და არ გამოყვეს სამედიატორო სამართალში ან არ აღასრულოს დადგენილება მედიატორეთა, იმის მიმართ იქნას მიღებული სასტიკი ზომები, როგორც პრესის საშუალებით, აგრეთვე მოკრძალის დახმარებითაც.

პასუხისათვის ვადათ გაძლევთ დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა—ათ დღეს.

მედიატორებათ გაწერეშე არა ნათესავი დანიშნოს

დრო და ადგილი გაჩრევისა დანიშნული იქნება მედიატორეთა დადგენილებით. სამსჯავროს კარები საქმის გარჩევისას ყველასთვის ღია უნდა იქნას.

ჩემი მხრით მედიატორებათ ვასახელებ: პატივ-ემულ ღვ- სიმონ მჭედლიძეს და ბ. მეკი ხელიძეს. მათი კანდიდატები:—ივანე ანტო—ძე ჩიმაკაძე და ილია სიმონის ძე წიფუნაძე.

მათხოჯის სასწავლებ. უფროსი მასწავლებელი

გიორგი წიფუაძე.

ბატონო რედაქტორო ნება გვიბოძეთ თქვენი პატივსემული გაზეთ „იმერეთის“ საშუალებით ულმობელ მადლობა გამოვუცხადოთ. ბ-ნ ივანე დოლგოვს, რომელმაც ბეთი მანეთი შემოსწირა ტყიბულის ახლათ გახსნილ უფასო წიგნსაკით-სამკითხველოს.

ტყიბულის წიგნსაკით-სამკითხველოს გამ. მდივანი ქრისტეფორე ანდრეაძე.

სია

ამ ბირთა, რომელთაც შესწორეს სხვადასხვა ნივთი წერა-კითხვის სახოგადოების 4 მაისის სეარანთის კასიმართაში.

გაგრძელება იხ. „იმერ.“ №-71 №.

ელენე მეფარიშვილის ასულისაგან 2 ყვავილის ვაზა, ეკატერინე ხარაძის ასულისაგან 6 გიასში ჩასმული სურათი, სოფიო კოკოჩაშვილის მეუღლისაგან 6 შუშა დუში 1, კოლოფი ბავშვების სათამაშოები და 1 სურათი, სარა ახელედიანის ასულისაგან და ოლღა კლდიაშვილის ასულისაგან 3 მან. ფულათ, სოფიო პაველს ასულისამ მაღრაძისამ 2 ფრაკეტს შანდალი, მარიამ ლორთქიფანიძისამ 2 ვაზა ყვავილები, 1 საშაქრე, 1 საბურე და 1 საათის ჩასადები, ანასტასია კიკვაძისამ 1 ხავედის ბალიში, ბაბილინა იაშვილისაგან 1 მოქარგული ბალიში, ოლღა შავგულიანისაგან ხავერდის საფურნელე (გამოშშვარი), ელენე კოშმელისაგან 1 იაშნიური მოქარგული ბალიშის პირი, ანასტასია ფირქალაშვილისაგან 2 ყვავილის ვაზა, ანნა პროკოპენკოს მეუღლისაგან 2 ყვავილის ვაზა, პეტრაგია მოდებაძისაგან 1 საკარაქე, 1 საფერფლე და 1 ჭიქა, ალექსანდრა გერასიმე კროტკოვისაგან 2 ეტაჟერკა ავარელით დახატული და 1 ავარელზე დახატული ბალიში ატლასზე, ეკატერინე ჩიქოვანის მეუღლისაგან 1 ლიქორის გრაფინი, 6 ჭიქა და ერთი ხონჩა, ფიდოსი ლორთქიფანიძისაგან ბავშის ხალის მოქარგული ჩასაცმელი, ეპრაქსი ლორთქიფანიძისაგან ნაქსოვი პერანგის გული, სონია წულუკიძისაგან ნახევარი ფუთი ღვინო.

(გაგრძელება იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი გ. ჭელაძე.

ექიმის იგ. ბოგერაის
საავათმყოფო
გადაუდიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მისეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწყებ ავათმყოფებს დებულობენ ყოველ დროს.

სამკურნალო აბანო.
ძმ. ჟორჟოლაძეების
სადგურ სრესლში (სერნია ვოდში) ტყიბულის რკინის-გზის შტოზე
თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით.

ეს წყალი, როგორც ნამდვილათ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობისაგან, უმეტესათ კი: ქარების, (რევმატიზმის) თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ცივებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე აღორძინებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც, ხსნებული აბანო მდებარეობს ტყიბულის რკინისგზის შტოზე სადგურ ,,სერნია ვოდში''. აბანო არის სადგურზე დაშორებული 150 საჟენით, მისვლა-მოსვლა და ხბაკის გადაზიდვა ძლიერ იოლია, ვინაიდან ქუთაისიდან დღეში ორჯერ გადის და მოდის მატარებელი სადგურ ,,სერნია ვოდში'' აქეთ სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ზომიერია. აბანო მუდმივ მუშაობს.

სახლის პატრონთა საყურადღებოთ.

წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თაყისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მოიქცეთ

ძმ. ედ. და პ. სააკაშვილების სავაჭროში
ქუთაისში
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორიაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები



ველოსიპედი იხილეთ.

შინები, ნაწილები და მოწყობილობანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფად
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის.

თფილისს:	ფოშტის დილის	11	საათ. 55 წ.
	ჩქარი დამით	2	საათ. 57 წ.
	სახალხო დილის	10	საათ. 10 წ.
	სახალხო დამით	1	საათ. 7 წ.
ბათომს:	ფოშტის საღამოს	5	საათ. 30 წ.
	ჩქარი დამით	2	საათ. 57 წ.
	სახალხო საღამოს	8	საათ. 35 წ.
	სახალხო დილის	4	საათ. 27 წ.
ფოთს:	სახალხო საღამოს	4	საათ. 14 წ.
	სახალხო დამით	2	საათ. 57 წ.
	სახალხო დილით	4	საათ. 27 წ.
	ფოშტის საღამოს	5	საათ. 30 წ.
	სახალხო საღამოს	8	საათ. 35 წ.
ზოკვაკანს:	საავარაკო საღამოს	5	საათ. 00 წ.
ტყიბულს:	სახალხო დილის	6	საათ. 20 წ.
	სახალხო საღამოს	4	საათ. 20 წ.

ქუთაისს მოდის.

თფილისიდან:	ფოშტის საღამ.	6	საათ. 57 წ.
	ჩქარი დამით	3	საათ. 50 წ.
	საალ. საღამოს	9	საათ. 44 წ.
	სახალხო ღამით	5	საათ. 50 წ.
ბათომიდან:	ფოშტის დღით	1	საათ. 25 წ.
	ჩქარი ღამით	3	საათ. 50 წ.
	სახალხო დღით	11	საათ. 22 წ.
	სახალხო ღამით	2	საათ. 23 წ.
ფოთიდან:	სახალხო დილით	10	საათ. 3 წ.
	ფოშტის დღით	1	საათ. 25 წ.
	სახალხო ღამით	2	საათ. 23 წ.
	სახალხო დილით	3	საათ. 50 წ.
ზოკვაკნიდან:	საავარაკო დილ.	9	საათ. 18 წ.
ტყიბულიდან:	სახალხო საღამოს	7	საათ. 39 წ.
	სახალხო დილით	9	საათ. 38 წ.

სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.